საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030105511889722

№ 01-133/ო **16 / მარტი / 2022 წ.**

„ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-647/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 დეკემბრის № 01-647/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას, პირველი პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^8 პუნქტი:

1^8. „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/ო ბრძანებით 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მობილიზებულ იმ სამედიცინო სტაციონარულ დაწესებულებებს:

ა) რომლებსაც ახალი სანებართვო დანართების აღების ვალდებულება გადავადებული ჰქონდათ 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ,,სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებით დამტკიცებული N2 დანართით განსაზღვრული - „გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა (EMERGENCY)“ და „კარდიოქირურგიული მომსახურების“ ნებართვის დანართების მოპოვების ვადად განესაზღვროს 2022 წლის 1 ივნისი;

ბ) რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ ანტენატალური სერვისების მიმწოდებლებს, „ანტენატალური და პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის № 01-2/ნ ბრძანების 22 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „პაციენტის რეფერირების მექანიზმებისა და შესაბამისი რეფერალის სქემის ამოქმედების უზრუნველყოფის“ შესრულების ვალდებულება გადაუვადდეს 2022 წლის 1 ივნისამდე.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.